



4326/4-2/22 2 17052022

4326/4-2/22

17-05-2022

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2022 წლის 12 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ამნისტიის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა) თავისუფლდება პირი, რომელმაც 2004 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირადად უნდა მიმართოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოს. ძებნილ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მის მიმართ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების მოთხოვნით მიმართვის უფლება წარმოეშობა ხელისუფლების ორგანოში გამოცხადების მომენტიდან.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენი პირის მიმართ განიხილა შესაბამისმა სასამართლომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის მე-4 მუხლის გავრცელების საკითხი და რამდენ შემთხვევაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების თაობაზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე



4325/4-2/22 2 17052022



4325/4-2/22
17-05-2022

საქართველოს გენერალურ პროკურორს,
ბატონ ირაკლი შოთაძეს

ბატონო ირაკლი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2022 წლის 12 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ამნისტიის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა) თავისუფლდება პირი, რომელმაც 2004 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირადად უნდა მიმართოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოს. ძებნილ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მის მიმართ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების მოთხოვნით მიმართვის უფლება წარმოეშობა ხელისუფლების ორგანოში გამოცხადების მომენტიდან.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ გვაცნობოთ, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რამდენი პირი გათავისუფლდა დღეის მდგომარეობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მი. სარჯველაძე



4324/4-2/22 2 17052022

4324/4-2/22

17-05-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2022 წლის 12 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ამნისტიის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, 2020 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის სახით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზნით მყოფ სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულებს მოსახდელი სასჯელი შეუმცირდათ განსაზღვრული ვადით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ გვაცნობოთ, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი რამდენი მსჯავრდებული გათავისუფლდა დღეის მდგომარეობით სასჯელის მოხდისაგან აღნიშნული ამნისტიის აქტის საფუძველზე. გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის მე-2 მუხლის პირველ-მე-3 პუნქტებში მითითებული მსჯავრდებულების მიხედვით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე